სემინარი: პორნოგრაფია, როგორც ურთიერთობებში ძალადობის ნორმალიზაციის საშუალება

თეორიული საფუძვლები [1]

ქალთა მიმართ ძალადობა აღიარებულია როგორც ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სოციალური პრაქტიკა, რომელიც საზოგადოების შიგნით ჩნდება და მეორდება. მის ზემოქმედებას ქალები ყოველდღიურად განიცდიან, რითაც ირღვევა მათი ფუნდამენტური უფლებები.

გენდერული ძალადობა სექსისტურ სტერეტორიპებთანაა დაკავშირებული, რომელიც დაგმობის ნაცვლად ამართლებს მამაკაცის ძალადობას ქალზე იმით, რომ უკავშირებს მას მამაკაცურობას. ეს თავის მხრივ ეფუძნება მამაკაცის ქალზე უპირატესობის აზრს, რომელზედაც ზოგიერთი მამაკაცი თავის იდენტობას აგებს (Lawson et al, 2010; Reitzel-Jaffe & Wolfe, 2001; Stith, Smith, Penn, Ward & Tritt, 2004). ამ ტიპის ძალადობა ხშირად გამოიყენება ქალთა და მამაკაცთა შორის ძალაუფლების უთანასწორო განაწილების შესანარჩუნებლად და ამიტომ იკლებს თანასწორობის ზრდის კვალობაზე.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ მას ეწოდება გენდერული ძალადობა, იმიტომ, რომ გულისხმობს იერარქიულ ურთიერთობებსა და უთანსაწორობას და არა ბიოლოგიურ სქესს; მას აგებს კულტურა, ის მოდელები, რომელშიდაც ქალებს აქვთ გარკვეული როლები, კაცების როლებისაგან განსხვავებული.

ქალების როლები ყოველთვის სტერეორიპულია. მაგალითად, ქალებს აღიქვამენ ან ავალდებულებენ რომ იყვნენ პასიურები, ნაზები, მორჩილები, დამჯერები, დაუცველები და სხვაზე ზრუნვისთვის მოწოდებულები; მაშინ, როდესაც მამაკაცის როლი ასოცირებულია აგრესიასთან, შეჯიბრთან, წარმატების მაღალ მოთხოვნასთან, სიბრძნესთან, ლიდერობასთან, მამაცობასა და ცოდნასთან. შედეგად გენდერის კონსტრუირებისა და სოციალიზაციის პროცესში ოჯახი ხდება ორიენტირი, რომელთანაც ოჯახის ახალი წევრები ახდენენ იდენტიფიკაციას, ისევე როგორც თავიანთ გარემოცვასთან, იმ მოლოდინებთან, რომელიც მათთან დაკავშირებით გააჩნიათ საზოგადოებისა და თემის წარმომადგენლებს. მოზრდილები არიან ის ადამიანები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მათი - გოგონებისა და ბიჭების იდენტობის ფორმირებაზე და ამ გზით გენედრული მოდელები გადაეცემათ მათ უკვე ადრეული ასაკიდან,

ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ამჟამინდელი საზოგადოება ახდენს სქესთა შორის უთანასწორობის, მორჩილებისა და დომინანტობის სტერეოტიპების გავრცელებას, როგორც მიუთითებენ Barberá and Martínez (2004)-ი, „ეს ხდება სექსისტური განათლების მეშვეობით, რომელიც ხორციელდება სოციალიზაციის სხვადასხვა უწყებების მიერ“. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდებს ახსოვდეთ, რომ

[1] მოცემული თეორიული ჩარჩო შეგიძლიათ იხილოთ ონლაინ პლატფორმაზე

ადრეულ ასაკში გენდერული ძალადობის გამოვლინება იქცევა ქცევით მოდელად და მოზრდილ ასაკში გენდერული ძალადობის უტყუარი ინდიკატორი ხდება (Sánchez, 2016).

პორნოგრაფია, როგორც სექსუალობის მასწავლებელი[2]

დღეს, სექსუალურ-ემოციური ურთიერთობების შესწავლის ყველაზე ფართოდ გამოყენებულ საშუალებას წარმოადგენს პორნოგრაფია.
პორნოგრაფიამ, კერძოდ კი ფართოდ გავრცელებულმა (mainstream) პორნიგრაფიამ, რომლის ნახვა შეიძლება ინტერნეტში „მოიტაცა", უფრო სწორად მიისაკუთრა ჩვენი ურთიერთობა სექსუალობასთან, მოახდინა ინტიმურობის, სიყვარულის და სიახლოვის ტრანსფორმაცია დომინანტობისა და ძალადობის ფუნქციონალურ აქტად.

„პორნოგრაფიის, ისევე როგორც ძალადობრივი და სექსისტური ბუნების მქონე ფართოდ გავრცელებული პორნოგრაფიის ზემოქმედება ახალგაზრდებზე გაძლიერდა. თანამედროვე ვითარება ასეთია: ახალგაზრდები იმყოფებიან ძალადობრივი პორნოგრაფიის ზემოქმედების ქვეშ, მოსწონთ მათ ეს თუ არა და ეხლა კითხვა ეხება არა იმას, იქნებიან ისინი ამ ზემოქმედების ქვეშ თუ არა, არამედ იმას თუ როდის მოხდება ეს" (Walker et al. 2015).

11-18 წლის ასაკის ახალგაზრდების კველევამ, რომელიც განახორციელა დიდი ბრიტანეთის ბავშვთა მიმართ სისასტიკის პრევენციის ეროვნულმა საზოგადოებამ (NSPCC) Telegraph-ის დაკვეთით 2013 წელს აჩვენა, რომ ახალგაზრდების მესამედი მიიჩნევს, რომ პორნოგრაფია კარნახობს მათ როგორ უნდა მოიქცნენ ურთერთობისას. „გოგონები მიიჩნევენ, რომ უნდა უყურონ პორნოგრაფიას და ისე მოიქცნენ როგორც პორნო ვარსკვლავები იმისათვის, რომ ისინი ბიჭებს მოეწონონ", როგორც ეს NSPCC -ის კველვამ აჩვენა.

იმავე წელს, „ ბავშვთა ცხელი ხაზის სამსახურის ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ უკანსკნელი 12 თვის განმავლობაში 70 პროცენტით გაიზარდა იმ ბიჭების ზარები, რომლებიც რეკავდნენ პორნოგრაფიაზე სასაუბროდ, თუ რა დანაშაულისა და დაბნეულობის გრძნობას იწვევს ის მათში. მხოლოდ უკანასკნელ წელს, 50 გოგონა რეკავდა ცხელ ხაზზე ყოველდღიურად, რადგან განიცდიდნენ ზეწოლას, რომ ქონოდათ სექსი".

---

[2] უფრო მეტი: http://www.unimedliving.com/education/education-the-new-conversation/the-sexualisation-of-the-young-learning-a-social-script-through-pornography-and-the-rise-of-new-sexual-and-reproductive-health-issues.html

პორნოგრაფია წარმოაჩენს კულტურულ კონტექსტსა და სტანდარტს, რომელიც შემდეგ ინერგება. დღეს პორნოგრაფია თამაშობს განმსაზღვრელ როლს ინტერპერსონალური ღირებულებების ჩამოყალიბებაში: მაგალითად, სექსუალური ორმაგი სტანდარტი, რომ ქალები, რომლებიც ერთვებიან სექსუალურ ურთიერთობაში არიან გარყვნილები, მამაკაცები კი მოგებულები ან ღმად ფესვგადგმული წარმოდგენა, რომ გოგონებისა და ახალგაზრდა ქალების სხეულები არიან იმ ბიჭებისა და ახალგაზრდა მამაკაცების ერთგვარი საკუთრება, რომლებიც სხვა ბიჭებთან მეტოქეობენ და შეჯიბრსაც კი აწყობენ გოგონების სხეულებისათვის (Ringrose: 2012).

ამიტომ მოცემული პროექტის ფარგლებში საჭიროდ მიგავაჩნია ამ საკითხზე მუშაობა

სემინარი

სემინარი განკუთვნილია ახალგაზრებთან და იმ ადამიანებთან გამოსაყენებლად, ვინც შეხებაშია მოზარდებთან.

მოცემული აქტიობის მიზანია პორნოგრაფიაზე მსჯელობა, მონაწილეთა აზრების მოსმენა და გავრცელებული პორნოგრაფიის კრიტიკული ანალიზი.

მასალა

სემინარისთვის შევარჩიეთ ორი სტატია პორნოგრაფიის შესახებ, ერთი ფართოდ გავრცელებულ პორნოგრაფიაში ძალადობის და მეორე პორნოგრაფიაში ახალი ტენდენციის, ეგრეთ წოდებული „ფემინისტური პორნოგრაფიის“ შესახებ.

რადგან ჩვენ სემინარები ესპანურ ენაზე ჩავატარეთ, გამოვიყენეთ სტატიები ამ ენაზე. თუ თქვენ გსურთ ჩაატაროთ ეს სემინარი, დაგჭირდებათ თქვენი კონტექსტის შესატყვისი სტატიები. ეს არ უნდა იყოს რთული!

მიზნები

- სექსუალობის შესახებ შეხედულებების იდენტიფიკაცია
- მგრძნობელობის ამაღლება საკითხებისადმი: ძალადობრივი ქცევა სქესობრივ-ემოციურ ურთიერთობებში, როგორ მივყავართ მას ძალადობრივ სიტუაციებამდე და ძალადობის ესკალაციამდე.

ინსტრუქციები

მონაწილეებს ვთხოვთ შექმნან 4-5 კაციანი ჯგუფები.

თითოეულ ჯგუფს ეძლევა ტექსტი წასაკითხად. წაკითხვის შემდეგ 10-15 წუთი ეთმობა კომენტარებს მონაწილეთა შორის და ძირითადი დასკვნების გაკეთებას.

შემდეგ ის ჯგუფები, რომლებსაც ქონდათ ერთი და იგივე ტექსტი ახდენენ ტექსტის შინაარსის შეჯამებას და აცნობენ სხვებს და საუბრობენ იმ დასკვნაზე, რაც ჯგუფმა გააკეთა. შემდეგ იგივეს აკეთებენ ის ჯგუფები, რომელბსაც ქონდათ განსხვავებული ტექსტები.

შემდეგ იმართება ღია მსჯელობა სემინარის ყველა მონაწილის მონაწილეობით.

დისკუსიისა საბოლოო მიზანია შეთანხმება, რომელიც მისაღები იქნება ყველა ან მონაწილეთა უმეტესობისათვის ისე, რომ რამოდენიმე ძირითადი მოსაზრება თავში ჩაებეჭდოთ მონაწილეებს.